ISSN 0203—2023

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

№ 1

1987

# უმაღლესი საბჭოს უწყებები

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს გამოცემა

თბილისი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

# უმაღლესი საბჭოს უწყებები

№ 1 (497) იანვარი 1987 წელი

## შინაარსი

### განყოფილება პირველი

1. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ი. ი. ქედიშვილის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ.

2. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის შემადგენლობაში ცვლილებათა შესახებ.

3. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ქალაქ თბილისის ლენინის რაიონის № 5 ლენინის, გლდანის რაიონის № 19 გლდანის, კიროვის რაიონის № 47 ბარათაშვილის, ქალაქ გორის № 117 ძნელაძის, თელავის რაიონის № 226 იყალთოს, ახმეტის რაიონის №229 მატნის, ზესტაფონის რაიონის № 239 ძირულის, ქალაქ ქუთაისის ავტოქარხნის რაიონის № 263 გრიშაშვილის, აბაშის რაიონის № 320 ძველი აბაშის, ცხაკაიას რაიონის № 321 ლენინის, ქალაქ ზუგდიდის № 329 ლენინის, ქალაქ ბათუმის № 402 ლენინის და ქობულეთის რაიონის № 413 მუხაესტატეს საარჩევნო ოლქებში საქართველოს სსრ მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატების არჩევნების შესახებ.

### საქართველოს სსრ მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული კანონი და დადგენილებები

4. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება დეპუტატ ვ. მ. სირაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ.

5. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება დეპუტატ თ. შ. კაბულოვას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილედ არჩევის შესახებ.
6. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება დეპუტატ თ. ვ. ლაშქარაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ.
7. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება დეპუტატ ვ. ა. კვარაცხელიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნად არჩევის შესახებ.
8. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება დეპუტატ ბ. ი. ვაშაკიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრად არჩევის შესახებ.
9. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება დეპუტატ თ. ვ. კუნჭულიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრად არჩევის შესახებ.
10. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება სკკპ XXVII ყრილობის მოთხოვნათა შესაბამისად საქართველოს სსრ მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების საქმიანობის შესახებ.
11. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კანონი საქართველოს სსრ ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების თაობაზე.
12. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება ამხ. ი. ი. ქედიშვილის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების თაობაზე.
13. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება ამხ. ო. ნ. სულაძის საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის მინისტრად დანიშვნის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების თაობაზე.
14. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის შემადგენლობაში ცვლილებათა შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების თაობაზე.
15. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების შემადგენლობაში ცვლილებათა შესახებ.

## განყოფილება მეორე

16. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ვ. ი. ალავიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
17. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ა. დ. ალექსიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
18. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ნ. პ. ბორიკის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

19. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ე. კ. გოგიჩაიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

20. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ე. ს. მაღრაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

21. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ბ. ზ. მაყაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

22. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. გ. ა. ოჩიაურის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

23. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ლ. ი. ხაინდრავას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

24. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ბ. გ. სანიკიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

25. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. გ. ხ. ემირიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

26. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება თბილისის შ. რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო აკადემიური დრამატული თეატრის შენობის რეკონსტრუქციის მონაწილეთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

27. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება სსრ კავშირის მშენბანკის სისტემის მუშაკთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

28. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ვ. ვ. დოლენკოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

29. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ნ. მ. მგალობლიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

30. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ი. მ. კვაჭაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

31. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ლ. დ. ცისკარიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

საქ. სსრ კ. მარქსი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

32. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ნ. ი. ლომოურისათვის „საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.
33. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ლ. მ. ვერნიცკისათვის „საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.
34. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ა. ლ. ერემიანისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული ჟურნალისტის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.
35. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. დ. ვ. ხუჯაძისათვის „საქართველოს სსრ მრეწველობის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.
36. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება მედიცინის მუშაკებისათვის „საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.
37. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება მედიცინის მუშაკებისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული ექიმის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.
38. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ს. ი. ენუქაშვილისათვის „საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

## განყოფილება მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ზოგიერთი დეპუტატის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## განყოფილება პირველი

### საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

**1 ამხ. ი. ი. ქედიშვილის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

განთავისუფლდეს ამხ. იური ივანეს ძე **ქედიშვილი** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობიდან პენსიაზე გასვლასთან დაკავშირებით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1987 წლის 21 იანვარი.
№ 1076—XI

### საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

**2 საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის შემადგენლობაში ცვლილებათა შესახებ**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დამტკიცდნენ საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის წევრებად ამხ. ამხ. ტრიფონ ვახტანგის ძე **როსტიაშვილი** — საქართველოს პროფსაბჭოს მდივანი და მერაბ დავითის ძე **ავალიანი** — სახალხო კონტროლის თბილისის საქალაქო კომიტეტის თავმჯდომარე.

გამოყვანილ იქნეს საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის შემადგენლობიდან ამხ. ვარლამ სოსრამის ძე **ჯანჯღავა** პენსიაზე გასვლასთან დაკავშირებით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1987 წლის 21 იანვარი.
№ 1075—XI

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

**3** ქალაქ თბილისის ლენინის რაიონის № 5 ლენინის, გლდანის რაიონის № 19 გლდანის, კიროვის რაიონის № 47 ბარათაშვილის, ქალაქ გორის № 117 ძნელაძის, თელავის რაიონის № 226 იყალთოს, ახმეტის რაიონის № 229 მატნის, ზესტაფონის რაიონის № 239 ძირულის, ქალაქ ქუთაისის ავტოქარხნის რაიონის № 263 გრიშაშვილის, აბაშის რაიონის № 320 ძველი აბაშის, ცხაკაიას რაიონის № 321 ლენინის, ქალაქ ზუგდიდის № 329 ლენინის, ქალაქ ბათუმის № 402 ლენინის და ქობულეთის რაიონის № 413 მუხაესტატეს საარჩევნო ოლქებში საქართველოს სსრ მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატების არჩევნების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

„საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ საქართველოს სსრ კანონის 56-ე მუხლის შესაბამისად დაინიშნოს საქართველოს სსრ მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატების არჩევნები ქალაქ თბილისის ლენინის რაიონის № 5 ლენინის, გლდანის რაიონის № 19 გლდანის, კიროვის რაიონის № 47 ბარათაშვილის, ქალაქ გორის № 117 ძნელაძის, თელავის რაიონის № 226 იყალთოს, ახმეტის რაიონის № 229 მატნის, ზესტაფონის რაიონის № 239 ძირულის, ქალაქ ქუთაისის ავტოქარხნის რაიონის № 263 გრიშაშვილის, აბაშის რაიონის № 320 ძველი აბაშის, ცხაკაიას რაიონის № 321 ლენინის, ქალაქ ზუგდიდის № 329 ლენინის, ქალაქ ბათუმის № 402 ლენინის და ქობულეთის რაიონის № 413 მუხაესტატეს საარჩევნო ოლქებში **კვირას, 1987 წლის 22 თებერვალს.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1987 წლის 22 იანვარი.
№ 1080—XI

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს სსრ მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული კანონი და დადგენილებები

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება

### 4 დეპუტატ ვ. მ. სირაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

განთავისუფლდეს დეპუტატი ვიქტორია მოსეს ასული **სირაძე** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილის მოვალეობისაგან სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1987 წლის 24 იანვარი.
№ 87—XI ს.

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება

### 5 დეპუტატ თ. შ. კაბულოვას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილედ არჩევის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

არჩეულ იქნეს დეპუტატი თამარ შალვას ასული **კაბულოვა** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილედ და განთავისუფლდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრის მოვალეობისაგან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1987 წლის 24 იანვარი.
№ 88—XI ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა



## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება

## 6 დეპუტატ თ. ვ. ლაშქარაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

განთავისუფლდეს დეპუტატი თამარ ვასილის ასული **ლაშქარაშვილი** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნის მოვალეობისაგან პენსიაზე გასვლასთან დაკავშირებით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1987 წლის 24 იანვარი.
№ 89—XI ს.

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება

## 7 დეპუტატ ვ. ა. კვარაცხელიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნად არჩევის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

არჩეულ იქნეს დეპუტატი ვახტანგ ავქსენტის ძე **კვარაცხელია** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნად და განთავისუფლდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრის მოვალეობისაგან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1987 წლის 24 იანვარი.
№ 90—XI ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება

### 8 დეპუტატ ბ. ი. ვაშაკიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრად არჩევის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

არჩეულ იქნეს დეპუტატი ბორის ილიას ძე **ვაშაკიძე** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. **გილაშვილი.**
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. **კვარაცხელია.**

თბილისი, 1987 წლის 24 იანვარი.
№ 91—XI ს.

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება

### 9 დეპუტატ თ. ვ. კუნჭულიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრად არჩევის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

არჩეულ იქნეს დეპუტატი თამაზ ვასილის ძე **კუნჭულია** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. **გილაშვილი.**
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. **კვარაცხელია.**

თბილისი, 1987 წლის 24 იანვარი.
№ 92—XI ს.

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება

### 10 სკკპ XXVII ყრილობის მოთხოვნათა შესაბამისად საქართველოს სსრ მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების საქმიანობის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო, რომელმაც მოისმინა და განიხილა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სამანდატო კომისიის თავმჯდომარის დეპუტატ შ. ვ. ყარყარაშვილის მოხსენება

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების საქმიანობის შესახებ, აღნიშნავს, რომ მეთერთმეტე მოწვევის განვლილ პერიოდში მათ მუშაობას განსაზღვრავდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილისა და მომდევნო პლენუმების დადგენილებებიდან, პარტიის XXVII ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე ამოცანები, ბოლო დროს პარტიის მიერ აღებული გარდაქმნისა და დაჩქარების სტრატეგიული კურსი.

მნიშვნელოვნად გააქტიურდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების საქმიანობა. მათ განიხილეს 69 საკითხი საზოგადოებრივი წარმოების ზრდის ტემპის დაჩქარების, მისი ეფექტიანობის ამაღლების, საწარმოებში ახალი ტექნიკისა და პროგრესული ტექნოლოგიის დანერგვის, ეკონომიის რეჟიმის გაძლიერებისა და ენერგეტიკული რესურსების რაციონალური გამოყენების, სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების გაფართოების, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო, სამედიცინო და სავაჭრო მომსახურების, გარემოს დაცვის გაუმჯობესების, შრომისა და საშემსრულებლო დისციპლინის განმტკიცებისათვის ცალკეული სამინისტროებისა და უწყებების მუშაობის შესახებ და სხვ.

კომისიების საკონტროლო საქმიანობა გახდა უფრო საგნობრივი. საკითხების განხილვაში ხშირად იზიდავენ პროფკავშირულ ორგანიზაციებსა და სახალხო კონტროლის ორგანოებს. მეტი ყურადღება ეთმობა საკუთარი რეკომენდაციების რეალიზაციისადმი კონტროლს, საქმიანობაში საჯაროობის გაფართოებას. გახშირდა შემოწმებათა შედეგების განხილვა საწარმოთა და ორგანიზაციათა შრომითს კოლექტივებში, მოქალაქეთა საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ტარდება კომისიათა გაფართოებული გასვლითი სხდომები.

კომისიების მიერ მომზადებულ 12 მნიშვნელოვან საკითხზე იმსჯელა პრეზიდიუმმა, უმაღლესი საბჭოს მიერ განხილულ 4 საკითხზე თანამოხსენებით გამოვიდნენ კომისიები. მათ მიერ დაყენებულ მთელ რიგ საკითხებზე პრეზიდიუმის დავალებით იმსჯელა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ და მიიღო შესაბამისი დადგენილებები და განკარგულებები; ბევრი საკითხი გათვალისწინებულია რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმაში.

ამასთან, დღევანდელობის მოთხოვნათა შუქზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების მუშაობას კვლავ აკლია ეფექტიანობა. იგი ყოველთვის როდია გამიზნული საბოლოო შედეგების მისაღებად.

ჯერ კიდევ სუსტია კომისიების ანალიზური საქმიანობა, ისინი ზოგჯერ ღრმად არ სწავლობენ განსახილველ საკითხებს, არ ავლენენ ორგანიზაციების, დაწესებულებებისა და საწარმოების მუშაობაში სერიოზული ნაკლოვანებებისა და ხარვეზების გამომწვევ მიზეზებს. ხშირად რეკომენდაციები ზოგადი და არაკონკრეტულია, არასაკმარისად უწყობენ ხელს საქმის ვითარების გაუმჯობესებას. კომისიები ყოველთვის არ იჩენენ საჭირო მომთხოვნელობას მათ მიერ შემუშავებული რეკომენდაციებისა და წინადადებების სარეალიზაციოდ, იშვიათად ისმენენ სამინისტროებისა და უწყებების, საწრმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელთა ანგარიშს, ნაკლებ ყურადღებას

ბიბლიოთეკა

უთმობენ ამომრჩეველთა განაწესების შესრულებას, თავიანთ საკონტროლო საქმიანობაში თითქმის არ იყენებენ ისეთ ეფექტიან ფორმას, როგორიცაა შეკითხვის წესით საკითხის დაყენება.

რესპუბლიკის ცალკეული სამინისტროები, სახელმწიფო კომიტეტები და უწყებები, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები არ იცავენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების დებულების მოთხოვნებს, ხშირად არ განიხილავენ თავიანთ სხდომებზე მათ წინადადებებსა და რეკომენდაციებს, კანონმდებლობით დადგენილ ვადებში არ ატყობინებენ კომისიებს მათი განხილვისა და შესრულების შედეგებს.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

1. მიღებულ იქნეს ცნობად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სამანდატო კომისიის თავმჯდომარის დეპუტატ შ. ყარყარაშვილის მოხსენება სკკპ XXVII ყრილობის მოთხოვნათა შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების საქმიანობის შესახებ.

2. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივმა კომისიებმა განუხრელად იხელმძღვანელონ სკკპ XXVII ყრილობის მოთხოვნებით, პარტიისა და მთავრობის მომდევნო გადაწყვეტილებებით, საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის მითითებებით და უფრო ეფექტიანად გამოიყენონ თავიანთი უფლებები და უფლებამოსილება მათს კომპეტენციაში შემავალი საკითხების გადასაწყვეტად, რისთვისაც:

შემდგომ საქმიანობაში ყურადღება უფრო მეტად გაამახვილონ ეკონომიკის, სამეურნეო და კულტურული მშენებლობის, სოციალური სფეროს შემდგომი განვითარების, შრომის ნაყოფიერების ამაღლების, გამოსაშვები პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების, უყაირათობის დაძლევის, საზოგადოებრივი წარმოების გასაფართოებლად დამატებითი რეზერვებისა და შესაძლებლობების გამოვლენის, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო, კულტურული, სამედიცინო და სავაჭრო მომსახურების გაუმჯობესების, ამომრჩეველთა განაწესების რეალიზაციის, სახელმწიფო და შრომის დისციპლინის განმტკიცების საკვანძო საკითხებზე; განახორციელონ ქმედითი კონტროლი მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისა და მისი მიღწევების სახალხო მეურნეობაში დანერგვისადმი, განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ გამოშვებული პროდუქციის სახელმწიფო მიღების ორგანიზაციას; მეტი მზრუნველობა გამოიჩინონ შრომითი რესურსების გამოვლენისა და მათი რაციონალური გამოყენებისადმი; აამაღლონ კომისიების წევრი დეპუტატების როლი უშრომელი შემოსავლის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში;

ყოველნაირად სრულყონ მუშაობის ფორმები და მეთოდები, მიაღწიონ კომისიათა ყველა წევრის აქტიურ მონაწილეობას საკითხების შესწავლა-განხილვაში, რეკომენდაციების შემუშავებასა და მათს სარეალიზაციოდ ორგანიზატორული მუშაობის ჩატარებაში;

კომისიების სხდომებზე შექმნან გერგილიანობისა და მომთხოვნელობის ვითარება, უზრუნველყონ კრიტიკისა და თვითკრიტიკის, მიღწეული შედეგე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბის ობიექტური შეფასების, კონკრეტული რეკომენდაციების შემუშავების ფართო შესაძლებლობანი; მუდმივი კომისიის ყოველი სხდომა გადააქციონ ყველაზე სწორ გადაწყვეტილებათა მიღების კოლექტიურ ძიებად;

უფრო ხშირად ჩაატარონ გასვლითი სხდომები; პრაქტიკაში ფართოდ დანერგონ რამდენიმე მუდმივი კომისიის მიერ საკითხების ერთობლივი განხილვა; გააფართოონ საჯაროობა მუშაობაში;

საკითხების შესწავლაში აქტიურად ჩააბან ადგილობრივი საბჭოების მუდმივი კომისიები, აქტივისტები;

დღენიადაგ იღვაწონ კანონებისა და მათ კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილებების, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებისა და დადგენილებების, აგრეთვე საკუთარი რეკომენდაციების განხორციელებისათვის;

პერიოდულად მოისმინონ რესპუბლიკის სამინისტროებისა და უწყებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელთა ინფორმაცია კომისიების რეკომენდაციების, აგრეთვე ამომრჩეველთა განაწესების რეალიზაციის მიმდინარეობის შესახებ, ამასთან უფრო ხშირად გამოიყენონ კონტროლის ისეთი ქმედითი ფორმა, როგორიცაა შეკითხვის წესით საკითხის დაყენება.

3. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა:

ყოველნაირად ხელი შეუწყოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების მუშაობის შემდგომ გაუმჯობესებას, მათი როლის ამაღლებას რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წინაშე მდგომ სკკპ XXVII ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების, საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის გადაწყვეტილებების შესრულების ამოცანათა განხორციელებაში;

მუშაობის სტილისა და მეთოდების სრულყოფის პარტიის მიერ აღებული სტრატეგიული ხაზის განხორციელებისათვის დახვეწოს მუდმივი კომისიების საქმიანობის კოორდინაციის სისტემა, მიაღწიოს მათი მუშაობის უფრო გააქტიურებას, მათი ზემოქმედების გაძლიერებას ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაზე, იმ საკითხების შესწავლა-განხილვაზე, რომლებიც გამიზნულია ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების, მეურნეობრიობის ინტენსიურ მეთოდებზე პრაქტიკულად გადასვლის, სახალხო-სამეურნეო გეგმების რეალიზაციაში მაღალი მაჩვენებლების მიღწევის, სოციალისტური დემოკრატიის შემდგომი განვითარებისათვის;

მუდმივი კომისიების ყურადღება გაამახვილოს შესასწავლი პრობლემების, მართვის ორგანოების საქმიანობის ღრმა და პრინციპული ანალიზის აუცილებლობაზე, ხელი შეუწყოს მათ სამინისტროებისა და უწყებებისადმი, ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტებისადმი, საწარმოებისა და ორგანიზაციებისადმი დიდი სიმტკიცისა და მომთხოვნელობის გამოვლენაში შემუშავებული რეკომენდაციების რეალიზაციისათვის;

მუდმივი პრაქტიკული დახმარება გაუწიოს კომისიებს მათი სხდომების მაღალი ორგანიზაციული დონის, კონკრეტული გადაწყვეტლებებისა და რეკომენდაციების შემუშავების უზრუნველყოფაში, მხარი დაუჭიროს და ყოველ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხრივ ხელი შეუწყოს მათ ინიციატივასა და აქტიურობას. მუდმივ კომისიათა წევრებისათვის დახმარების გაწევის მიზნით პრაქტიკაში შემოიღოს კონსულტაციების ჩატარება შესასწავლ საკითხებზე; ამ საქმეში ჩააბას სახალხო მეურნეობისა და კულტურის შესაბამისი დარგების წამყვანი სპეციალისტები;

უფრო ფართოდ მიიზიდოს მუდმივი კომისიები რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს, მისი პრეზიდიუმის განსახილველად საკითხების მომზადებისათვის;

დღენიადაგ იზრუნოს სახალხო კონტროლის ორგანოებთან, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებთან მუდმივი კომისიების თანამოქმედების შემდგომ გაფართოებაზე;

მკაცრად მოჰკითხოს სამინისტროებს, სახელმწიფო კომიტეტებს, უწყებებს, საწარმოებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს მუდმივი კომისიების რეკომენდაციებისა და წინადადებებისადმი ფორმალური დამოკიდებულების გამოვლენისათვის.

4. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ პერიოდულად მოისმინოს სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტების, უწყებების, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოების, სახალხო დეპუტატთა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საბჭოს, რესპუბლიკის რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომების ინფორმაციები მუდმივი კომისიების რეკომენდაციებისა და წინადადებების შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

5. დაევალოთ რესპუბლიკის სამინისტროებს, სახელმწიფო კომიტეტებს, უწყებებს განუხრელად დაიცვან საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების დებულების მოთხოვნები, გააძლიერონ მუშაობა მუდმივ კომისიათა რეკომენდაციებისა და წინადადებების რეალიზაციისათვის, უფრო სრულად გაითვალისწინონ ისინი ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმებში, დადგენილ ვადებში აცნობონ შესაბამის მუდმივ კომისიებს მათი რეკომენდაციების განხილვის შედეგების შესახებ.

* *
*

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო გამოთქვამს რწმენას, რომ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიები მომავალში უფრო აქტიურად ჩაებმებიან სახალხო დეპუტატთა საბჭოების წინაშე მდგომი ამოცანების გადაწყვეტაში და თავიანთ ღირსეულ წვლილს შეიტანენ სკკპ XXVII ყრილობის ისტორიულ წინასწარდასახულობათა და 1987 წლისა და მთლიანად ხუთწლედის საგეგმო დავალებათა და სოციალისტურ ვალდებულებათა წარმატებით შესრულებაში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. ქვარაცხელია.

თბილისი, 1987 წლის 24 იანვარი.

№ 93—XI ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კანონი

### 11 საქართველოს სსრ ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების თაობაზე

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1986 წლის 19 დეკემბრის ბრძანებულება „საქართველოს სსრ ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ".

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **პ. გილაშვილი.**
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ვ. კვარაცხელია.**

თბილისი, 1987 წლის 24 იანვარი.
№ 94—XI ს.

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება

### 12 ამხ. ი. ი. ქედიშვილის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების თაობაზე

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1987 წლის 21 იანვრის ბრძანებულება ამხ. იური ივანეს ძე **ქედიშვილის** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ პენსიაზე გასვლასთან დაკავშირებით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **პ. გილაშვილი.**
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ვ. კვარაცხელია.**

თბილისი, 1987 წლის 24 იანვარი.
№ 95—XI ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება

### 13 ამხ. ო. ნ. სულაძის საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის მინისტრად დანიშვნის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების თაობაზე

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1986 წლის 17 დეკემბრის ბრძანებულება ამხ. ოთარ ნიკოლოზის ძე **სულაძის** საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის მინისტრად დანიშვნის შესახებ.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.**

თბილისი, 1987 წლის 24 **იანვარი.**
**№ 96—XI ს.**

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება

### 14 საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის შემადგენლობაში ცვლილებათა შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების თაობაზე

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1987 წლის 21 იანვრის ბრძანებულება „საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის შემადგენლობაში ცვლილებათა შესახებ“.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.**

**თბილისი, 1987 წლის 24 იანვარი.**
**№ 97—XI ს.**

№ 1 ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება

## 15 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების შემადგენლობაში ცვლილებათა შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრებად არჩევასთან დაკავშირებით განთავისუფლდნენ დეპუტატები:

თამაზ ვასილის ძე **კუნჭულია** — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სახალხო მოხმარების საქონლისა და მოსახლეობის მომსახურების მუდმივი კომისიის წევრის მოვალეობისაგან;

ბორის ილიას ძე **ვაშაკიძე** — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მრეწველობის მუდმივი კომისიის წევრის მოვალეობისაგან.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.**

თბილისი, 1987 წლის 24 იანვარი.
№ 98—XI ს.

განყოფილება მეორე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 16 ამხ. ვ. ი. ალავიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ და კომკავშირულ ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ორმოცდათ წელთან დაკავშირებით საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ვილენ ისიდორეს ძე **ალავიძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი, 1987 წლის 9 იანვარი.
№ 1062—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 17 ამხ. ა. დ. ალექსიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ ორგანოებში აქტიური მუშაობისათვის, ხანგრძლივი ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს მშვიდობის დაცვის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. ალექსანდრე დიმიტრის ძე **ალექსიძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი, 1987 წლის 9 იანვარი.
№ 1065—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 18 ამხ. ნ. პ. ბორიკის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ყოფილი მოადგილე, აჭარის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. ნიკოლოზ პროკოფის ძე **ბორიკი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი, 1987 წლის 9 იანვარი.
№ 1060—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 19 ამხ. ე. კ. გოგიჩაიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

კომკავშირულ, სამეურნეო და საბჭოთა ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ველობის მანქანათმშენებლობის განყოფილების გამგის მოადგილე ამხ. ელზა კონსტანტინეს ასული **გოგიჩაიშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1987 წლის 9 იანვარი.
№ 1061—XI

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### 20 ამხ. ე. ს. მაღრაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ქართული საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაში წვლილისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით მწერალი ელგუჯა სამუელის ძე **მაღრაძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1987 წლის 9 იანვარი.
№ 1063—XI

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### 21 ამხ. ბ. ზ. მაყაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სამეურნეო და პარტიულ ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის მინისტრი ამხ. ბელა ზაქარიას ასული **მაყაშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1987 წლის 9 იანვარი.
№ 1067—XI

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### 22 ამხ. გ. ა. ოჩიაურის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ქართული საბჭოთა ხელოვნების განვითარებაში დამსახურებისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ სახალხო მხატვარი გიორგი ალექსის ძე **ოჩიაური** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1987 წლის 9 იანვარი.
№ 1066—XI

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### 23 ამხ. ლ. ი. ხაინდრავას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ქართული საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაში დამსახურებისათვის და დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით მწერალი ლევან ივლიანეს ძე **ხაინდრავა** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1987 წლის 9 იანვარი.
№ 1064—XI

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### 24 ამხ. ბ. გ. სანიკიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ქვანახშირის მრეწველობაში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საწარმოო გაერთიანება „საქქვანახშირის“ გენერალური დირექტორი ამხ. ბორის გრიგოლის ძე **სანიკიძე** და-

ჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სი-გელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1987 წლის 14 იანვარი.
№ 1068—XI

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 25 ამხ. გ. ხ. ემირიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისა-თვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს კომ-პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. გურამ ხუსეინის ძე ემირიძე დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1987 წლის 21 იანვარი.
№ 1074—XI

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 26 თბილისის შ. რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო აკადემიური დრამატული თეატრის შენობის რეკონსტრუქციის მონაწილეთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

თბილისის შ. რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსანი სახელმწი-ფო აკადემიური დრამატული თეატრის შენობის რეკონსტრუქციაში აქტიური მონაწილეობისათვის **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სა-პატიო სიგელით** დაჯილდოვდნენ:

ნოდარ სიმონის ძე **ამაშუკელი** — საქართველოს სსრ მშენებლობის სამი-ნისტროს № 2 ტრესტის მმართველი.

ლევან ბესარიონის ძე **გეგენავა** — საქართველოს სსრ მშენებლობის სამი-ნისტროს № 2 ტრესტის № 3 სამშენებლო სამმართველოს უფროსი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამირან ერმილეს ძე **გოგლიძე** — საქართველოს ძეგლთა დაცვის მთავარი სამმართველოს სარესტავრაციო სახელოსნოს რესტავრატორი.

თამაზ ბესარიონის ძე **ლეჟავა** — ტრესტ „სოიუზინტურისტსპეცრემსტროის“ მმართველი.

სიმონ ესტატეს ძე **მელაძე** — ტრესტ „სოიუზინტურისტსპეცრემსტროის“ სპეციალიზებული სარემონტო სამშენებლო სამმართველოს სამუშაოთა მწარმოებელი.

ოთარ ნიკოლოზის ძე **ნახუცრიშვილი** — არქიტექტორი, საავტორო ჯგუფის ხელმძღვანელი.

ვაჟა ალექსანდრეს ძე **ორბელაძე** — არქიტექტორი.

შალვა გრიგოლის ძე **ტატიაშვილი** — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 2 ტრესტის № 3 სამშენებლო სამმართველოს მებათქაშე.

დემნა ივანეს ძე **ქარსელაძე** — სარემონტო სამუშაოთა ხელმძღვანელი, საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს უფროსი ინჟინერი.

**არჩილ გიორგის ძე წამალაშვილი — ტრესტ „სოიუზინტურისტსპეცრემსტროის“ სპეციალიზებული** სარემონტო სამშენებლო სამმართველოს მღებავი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1987 წლის 22 იანვარი.
№ 1079—XI

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 27 სსრ კავშირის მშენბანკის სისტემის მუშაკთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სსრ კავშირის მშენბანკის სისტემაში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით** დაჯილდოვდნენ:

ლილია შალვას ასული **ფრუიძე** — სსრ კავშირის მშენბანკის საქკანტორის თბილისის საქალაქო სამმართველოს განყოფილების უფროსი.

რუსუდან ზაქარიას ასული **ქსოვრელი** — სსრ კავშირის მშენბანკის საქკანტორის საგეგმო-ეკონომიკური სამმართველოს განყოფილების უფროსი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. ქვარაცხელია.

თბილისი, 1987 წლის 27 იანვარი.
№ 1092—XI

ეროვნული

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 28 ამხ. ვ. ვ. დოლენკოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ქართულ საბჭოთა კინემატოგრაფიაში ხანგრძლივი ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის და დაბადების ოთხმოცდახუთ წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ სახალხო არტისტი ვასილ ვასილის ძე **დოლენკო** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.**

თბილისი, 1987 წლის 27 იანვარი.
№ 1091—XI

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 29 ამხ. ნ. მ. მგალობლიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

არქიტექტურის დარგში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით საქართველოს არქიტექტორთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე ამხ. ნოდარ მიხეილის ძე **მგალობლიშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.**

თბილისი, 1987 წლის 27 იანვარი.
№ 1090—XI

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 30 ამხ. ი. მ. კვაჭაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

მედიცინის დარგში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის, კვალიფიციური სამედიცინო კადრების მომზადებისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის კათედრის გამგე, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი იოსებ მახარობლის ძე **კვაჭაძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.**

თბილისი, 1987 წლის 29 იანვარი.
№ 1096—XI

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 31 ამხ. ლ. დ. ცისკარიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

მედიცინის დარგში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის კლინიკური საავადმყოფოს კონსულტანტი საზოგადოებრივ საწყისებზე, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი პროფესორი ლევან დიმიტრის ძე ცისკარიშვილი დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი პ. კვარაცხელია.

თბილისი, 1987 წლის 29 იანვარი.
№ 1097—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 32 ამხ. ნ. ი. ლომოურისათვის „საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ხანგრძლივი ნაყოფიერი სამეცნიერო-კვლევითი და პედაგოგიური მუშაობისათვის საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის განყოფილების გამგეს, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ ნოდარ იულონის ძე ლომოურს მიენიჭოს საპატიო წოდება „საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1987 წლის 9 იანვარი.
№ 1067—XI

ეროვნული

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### 33 ამხ. ლ. მ. ვერნიცკისათვის „საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ქართული საბჭოთა თეატრალური ხელოვნების დარგში დამსახურებისათვის საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს სცენის ტექნიკისა და ტექნოლოგიის ექსპერიმენტულ-საკონსტრუქტორო ლაბორატორია-სახელოსნოს დირექტორს ამხ. ლეონიდ მარიანის ძე **ვერნიცკის** მიენიჭოს საპატიო წოდება **„საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე“.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.**

თბილისი, 1987 წლის 27 იანვარი.
№ 1095—XI

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### 34 ამხ. ა. ლ. ერემიანისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული ჟურნალისტის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ბეჭდვითი სიტყვის ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისა და რესპუბლიკის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობისათვის საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კონტროლის კომისიის ინსტრუქტორს ამხ. არსენ ლევონის ძე **ერემიანს** მიენიჭოს საპატიო წოდება **„საქართველოს სსრ დამსახურებული ჟურნალისტი“.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.**

თბილისი, 1987 წლის 27 იანვარი.
№ 1093—XI

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### 35 ამხ. დ. ვ. ხუჯაძისათვის „საქართველოს სსრ მრეწველობის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

საავიაციო მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალურ კომიტეტში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის საავიაციო მრეწველობის მუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის შრომის მთავარ ტექნიკურ ინსპექტორს ამხ. დავით ვლადიმერის ძე **ხუჯაძეს** მიენიჭოს საპატიო წოდება **„საქართველოს სსრ მრეწველობის დამსახურებული მუშაკი“.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. **გილაშვილი.**
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ვ. ქვარაცხელია.**

თბილისი, 1987 წლის 27 იანვარი.
№ 1094—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

**36** **მედიცინის მუშაკებისათვის „საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ**

მედიცინის დარგში ხანგრძლივი ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობისათვის, კვალიფიციური სპეციალისტების მომზადებისა და აქტიური საზოგადოებრივი მუშაობისათვის საპატიო წოდება „საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე“ მიენიჭოთ:

მიხეილ სამსონის ძე **გიგინეიშვილს** — თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის მეანობისა და გინეკოლოგიის კათედრის პროფესორ-კონსულტანტს.

გურამ კონსტანტინეს ძე **კაციტაძეს** — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სამედიცინო პარაზიტოლოგიისა და ტროპიკული მედიცინის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ლაბორატორიის ხელმძღვანელს, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს.

ავთანდილ ნიკოლოზის ძე **ლაჭყეპიანს** — თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის კათედრის გამგეს, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. **გილაშვილი.**
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ვ. ქვარაცხელია.**

თბილისი, 1987 წლის 29 იანვარი.
№ 1101—XI

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 37 მედიცინის მუშაკებისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული ექიმის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

მედიცინის დარგში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის საპატიო წოდება „საქართველოს სსრ დამსახურებული ექიმი“ მიენიჭოთ:

დავით ალექსის ძე ბენაშვილს — ამიერკავკასიის რკინიგზის პოლიკლინიკის ყოფილ ექიმს, პენსიონერს.

ლევან სოლომონის ძე ქურციკაშვილს — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მეცნიერებისა და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების სამმართველოს უფროსის მოადგილეს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1987 წლის 29 იანვარი.
№ 1099—XI

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 38 ამხ. ს. ი. ენუქაშვილისათვის „საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ხანგრძლივი ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობისათვის, კვალიფიციური კადრების მომზადებისა და აქტიური საზოგადოებრივი მუშაობისათვის საქართველოს შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის ზოგადი ფილოლოგიის კათედრის პროფესორს, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს სამსონ იაკობის ძე ენუქაშვილს მიენიჭოს საპატიო წოდება „საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1987 წლის 29 იანვარი.
№ 1098—XI

ეროვნული ბიბლიოთეკა

# განყოფილება მესამე

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა

1987 წლის 23 იანვარს გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა. სხდომამ იმსჯელა საქართველოს სსრ მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიის დღის წესრიგისა და მუშაობის წესის შესახებ, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა უმაღლესი საბჭოს დასამტკიცებლად შეტანის თაობაზე.

* *

*

მოისმინა რა თელავის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის ამხ. გ. ბეციაშვილის ინფორმაცია და პრეზიდიუმის საბჭოების მუშაობის საკითხების განყოფილების მოხსენებითი ბარათი, სხდომამ აღნიშნა, რომ თელავის სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოები, მათი აღმასრულებელი კომიტეტები პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით გარკვეულ მუშაობას ეწევიან დეპუტატებისათვის ამომრჩეველთა მიერ მიცემული განაწესების სარეალიზაციოდ, რის შედეგად დღეისათვის 249 განაწესიდან შესრულებულია 205, ანუ მათი საერთო რაოდენობის 82,3 პროცენტი.

განაწესების უმრავლესობა გამიზნულია ქალაქისა და სოფლების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების, მათი კეთილმოწყობის, მოსახლეობის მომსახურების სფეროს მუშაობის გაუმჯობესებისათვის.

ამასთან საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა აღნიშნა, რომ თელავის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოების მუშაობაში ამომრჩეველთა განაწესების შესასრულებლად ჯერ კიდევ ბევრი ნაკლოვანება და ხარვეზია.

სახალხო დეპუტატთა მთელი რიგი საბჭოები უნარიანად არ იყენებენ მათთვის მინიჭებულ კონსტიტუციურ უფლებამოსილებას სახალხო მეურნეობისადმი ხელმძღვანელობის ფორმებისა და მეთოდების შემდგომი სრულყოფის, სოციალურ-კულტურული მშენებლობის, მოსახლეობის გაზრდილ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების ამოცანების განხორციელებისათვის, რომლებიც ფართოდ არის ასახული ამომრჩეველთა განაწესებში.

ცალკეული საბჭოები არ აწესებენ სათანადო კონტროლს ამომრჩეველთა განაწესების უთუო შესრულებისადმი, არ იჩენენ მკაცრ მომთხოვნელობას სამეურნეო ორგანიზაციების ხელმძღვანელებისადმი, ხოლო რაიონული საბჭო და მისი აღმასრულებელი კომიტეტი არ უწევენ მათ ჯეროვან დახმარებას. სწორედ ამიტომაა, რომ სახალხო დეპუტატთა ქვემო ხოდაშენის, შალაურის, გულგულის, სანიორის და სხვა სასოფლო საბჭოებში დღემდე შეუსრულებელია ამომრჩეველთა განაწესების 50 პროცენტი. არის შემთხვევები, როდესაც ზოგიერთი განაწესი მოწვევიდან მოწვევამდე გადადის, რაც იმაზე მეტყველებს, რომ მათ შესასრულებლად იღებენ ფორმალურად, სათანადო მატერია-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლური და ფინანსური რესურსების გამოყოფის შესაძლებლობათა გაუთვალისწინებლად.

აღინიშნა, რომ მეცხრამეტე მოწვევის პერიოდში არც ერთ საბჭოში არ ყოფილა გამოყენებული განაწესების შესრულებისადმი ქმედითი კონტროლის ისეთი ფორმა, როგორიცაა სესიებზე დეპუტატების მიერ შეკითხვის წესით საკითხების დაყენება.

რაიონული, საქალაქო და სასოფლო საბჭოების აღმასკომების სხდომებზე იშვიათად განიხილავენ ამომრჩეველთა განაწესების რეალიზაციის მდგომარეობას, არ ისმენენ სამეურნეო ორგანიზაციების ხელმძღვანელთა ანგარიშებს, ხოლო ბევრი დეპუტატი ამომრჩევლებთან შეხვედრების დროს ხშირად გვერდს უვლის განაწესების რეალიზაციის მიმდინარეობას. განაწესების შესრულებისადმი კონტროლის განხორციელებაში აქტიურად არ არიან ჩაბმული მუდმივი კომისიები, დეპუტატთა ჯგუფები და საზოგადოებრივი თვითმოქმედების ორგანოები. განაწესებზე მუშაობის საჯაროობა საჭიროებს შემდგომ გაფართოებას.

საარჩევნო კამპანიის პერიოდში ამომრჩევლებთან სუსტი ახსნა-განმარტებითი მუშაობის შედეგად 249 განაწესიდან მხოლოდ 49-შია დაყენებული მრეწველობის, მშენებლობის და სოფლის მეურნეობის საკითხები და ეს იმ დროს, როდესაც ამ დარგებში სერიოზული ნაკლოვანებებია.

ასევე სერიოზული ხარვეზებია მოსახლეობის მომსახურების სფეროს საქმიანობაში, სუსტია სახელმწიფო დისციპლინა, დაბალია მომსახურების კულტურა, არ წარმოებს უკომპრომისო ბრძოლა ლოთობასა და ალკოჰოლიზმთან, უშრომელ შემოსავალთან, სხვა ნეგატიურ მოვლენებთან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა თელავის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის ამხ. გ. ბეციაშვილის ინფორმაცია რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოების დეპუტატებისათვის ამომრჩეველთა მიერ მიცემული განაწესების რეალიზაციის მდგომარეობის შესახებ მიიღო ცნობად და თელავის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოებს, მათ აღმასრულებელ კომიტეტებს დაავალა:

თავიანთ პრაქტიკულ საქმიანობაში განუხრელად იხელმძღვანელონ სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებებით, „ამომრჩეველთა განაწესებზე მუშაობის ორგანიზაციის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1980 წლის 1 სექტემბრის ბრძანებულებით, „საქართველოს სს რესპუბლიკაში ამომრჩეველთა განაწესებზე მუშაობის ორგანიზაციის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ 1982 წლის 29 აპრილს დამტკიცებული დებულებით, „სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებისათვის სახალხო დეპუტატთა საბჭოების როლის შემდგომი გაზრდისა და პასუხისმგებლობის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1986 წლის 25 ივლისის დადგენილებით;

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასახონ და განახორციელონ კონკრეტული ღონისძიებანი ამ დადგენილებაში აღნიშნულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად;

რაიონული, საქალაქო და სასოფლო საბჭოების დეპუტატებისათვის ამომრჩეველთა მიერ მიცემული განაწესების რეალიზაცია მჭიდროდ დაუკავშირონ რეგიონების ეკონომიკური და სოციალურ-კულტურული განვითარების 1987 წლისა და მთლიანად XII ხუთწლედის გეგმებისა და სოციალისტური ვალდებულებების უცილობლივ შესრულებისათვის, პროდუქციის სახელმწიფო მიღებაზე გადასასვლელად სამრეწველო საწარმოების მომზადებისათვის თითოეული შრომითი კოლექტივის, ყველა საფეხურის სახალხო დეპუტატთა საბჭოს, თითოეული დეპუტატის ამოცანებს.

ამომრჩეველთა განაწესების შესასრულებლად გაზარდონ დეპუტატების, სამეურნეო ორგანიზაციათა ხელმძღვანელების პერსონალური პასუხისმგებლობა, პრაქტიკაში შემოიღონ აღმასრულებელი კომიტეტების სხდომებზე მათი ანგარიშების მოსმენა, განაწესების შესრულებისადმი კონტროლის განხორციელებაში აქტიურად ჩააბან მუდმივი კომისიები, დეპუტატთა ჯგუფები, საზოგადოებრივი თვითმოქმედების ორგანოები, ფართოდ გამოიყენონ სესიებზე დეპუტატთა მიერ შეკითხვის წესით საკითხების დაყენების პრაქტიკა; ადგილობრივი საბჭოების მომავალ არჩევნებამდე უზრუნველყონ ამომრჩეველთა განაწესების უთუო შესრულება, განაწესებზე მუშაობის საჯაროობის შემდგომი გაფართოებისათვის აამაღლონ ამომრჩეველთა კრებების დონე, გააუმჯობესონ მასობრივი ინფორმაციის ადგილობრივ საშუალებათა საქმიანობა, რეგულარულად აცნობონ მოსახლეობას განაწესების რეალიზაციის მდგომარეობა.

რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა რაიონულმა და საქალაქო საბჭოებმა, მათმა აღმასრულებელმა კომიტეტებმა საბჭოების დეპუტატებისათვის ამომრჩეველთა მიერ მიცემული განაწესების რეალიზაცია მჭიდროდ დაუკავშირონ რეგიონების ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმებისა და ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებას, მოსახლეობის მზარდ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას, სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცებას; ადგილობრივი საბჭოების უფლებამოსილების ვადის გასვლასთან დაკავშირებით მეოცე მოწვევის საბჭოების არჩევნებამდე დარჩენილი დრო ნაყოფიერად გამოიყენონ ამომრჩეველთა განაწესების უცილობლივ შესრულებისათვის, ამასთან უზრუნველყონ დეპუტატთა მიერ ამომრჩეველთათვის ანგარიშის ჩაბარება.

* *
*

განიხილა რა საკითხი საქართველოს სსრ მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა ამომრჩევლებთან შეხვედრების ერთიანი კვირის ჩატარების შედეგების შესახებ, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა აღნიშნა, რომ 1986 წლის 15-22 დეკემბერს ჩატარებული ერთიანი კვირა სახალხო დეპუტატთა რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებისა და დეპუტატების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციების მიხედვით ძირითადად ორგანიზებულად და საქმიან ვითარებაში ჩატარდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატები შეხვდნენ თავიანთი საარჩევნო ოლქების ამომრჩევლებსა და იმ შრომით კოლექტივებს, რომლებმაც წამოაყენეს მათი კანდიდატურა უმაღლესი საბჭოს დეპუტატად არჩევისათვის, ანგარიში ჩააბარეს ამომრჩევლებს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს, მისი ორგანოების საქმიანობისა და თავიანთი მუშაობის შესახებ, აგრეთვე მათ მიერ მიცემული განაწესების, ადრე გამოთქმული კრიტიკული შენიშვნებისა და წინადადებების შესრულების თაობაზე.

დეპუტატებმა ყურადღება გაამახვილეს იმაზე, თუ როგორ ხორციელდება საარჩევნო ოლქში შემავალ თითოეულ შრომით კოლექტივში, ადგილობრივ საბჭოში პარტიის XXVII ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1986 წლის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებები, „სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებისათვის სახალხო დეპუტატთა საბჭოების როლის შემდგომი გაზრდისა და პასუხისმგებლობის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, „სკკპ XXVII ყრილობის მოთხოვნათა შესაბამისად დეპუტატთა ჯგუფების, საგუშაგოებისა და საზოგადოებრივი თვითმოქმედების ორგანოების მუშაობისადმი საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა საბჭოების ხელმძღვანელობის პრაქტიკის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1986 წლის 25 ივლისის დადგენილებები, რა ამოცანები დასახეს მშრომელთა წინაშე სსრ კავშირის მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესიამ და საქართველოს სსრ მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესიამ.

დეპუტატები დაინტერესდნენ კონკრეტულად რა კეთდება შრომით კოლექტივებში პარტიის მოთხოვნათა შესაბამისად მუშაობის ახლებურად გარდაქმნისათვის, უშრომელი შემოსავლის, ლოთობის, ალკოჰოლიზმის, ნარკომანიის, ქურდობის, სპეკულაციის, მექრთამეობის და სხვა ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლის გასაძლიერებლად.

შეხვედრების მონაწილენი, იწონებდნენ რა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, მისი პოლიტბიუროს საშინაო და საგარეო პოლიტიკას, გამოთქვამდნენ მზადყოფნას — კვლავაც არ დაზოგონ ენერგია, ცოდნა და გამოცდილება საწარმოო და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში მუშაობის ეფექტიანობისა და ხარისხის ასამაღლებლად, საუკეთესო საბოლოო შედეგების მისაღწევად. ამასთან ერთად აღნიშნავდნენ, რომ საჭიროა ყველგან დამკვიდრდეს სოციალური სამართლიანობა, გაღრმავდეს სოციალისტური დემოკრატია, დაუნდობელი ბრძოლა გამოეცხადოს ბიუროკრატიზმსა და ფორმალიზმს მუშაობაში, აღიკვეთოს მოსახლეობის სამედიცინო, სავაჭრო, კომუნალურ, საყოფაცხოვრებო და სატრანსპორტო მომსახურებაში ჯერ კიდევ არსებული ნაკლოვანებანი და ხარვეზები. ამომრჩევლები გამოთქვამდნენ უკმაყოფილებას სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომების ცალკეული სამსახურების საქმიანობისადმი, რომლებიც არ აქცევენ სერიოზულ ყურადღებას მოსახლეობის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცივი და ცხელი წყლით შეუფერხებელ მომარაგებას, გათბობის სისტემის გამართულ მუშაობას და სხვ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს 429 დეპუტატიდან (11 საარჩევნო ოლქში გამოკლებული დეპუტატების ნაცვლად არჩევნები ჯერ არ ჩატარებულა) ამომრჩევლებს შეხვდა 393 დეპუტატი, ანუ მათი საერთო რიცხვის 91,6 პროცენტი. შეხვედრებს ესწრებოდა თითქმის 125 ათასი ამომრჩეველი, რომელთაგან სიტყვით გამოვიდა ორი ათასამდე კაცი, გამოითქვა 645 კრიტიკული შენიშვნა და წინადადება, რომელთა აბსოლუტური უმრავლესობა ადგილობრივმა საბჭოებმა მიიღეს შესასრულებლად, ხოლო 100-მდე უშუალოდ დეპუტატებმა გაუგზავნეს რესპუბლიკის შესაბამის სამინისტროებს, სახელმწიფო კომიტეტებსა და უწყებებს და დააწესეს კონტროლი მათი შესრულების მიმდინარეობისადმი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ამასთან ერთად აღნიშნა, რომ ამომრჩევლებთან დეპუტატების შეხვედრების ერთიანი კვირის ჩატარების პრაქტიკის თანამიმდევრულად გაუმჯობესების მიუხედავად კვლავ ადგილი აქვს ცალკეულ ნაკლოვანებებს.

*

* *

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომაზე განხილულ იქნა სხვა საკითხებიც. ყველა მათგანზე მიღებულია შესაბამისი დადგენილება.

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომა

1987 წლის 24 იანვარს გაიმართა საქართველოს სსრ მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესია.

სესია გახსნა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ დეპუტატმა ი. ბ. აბაშიძემ.

დეპუტატებმა დაამტკიცეს სესიის დღის წესრიგი და მუშაობის წესი.

განსახილველად გამოტანილია შემდეგი საკითხები:

1. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის შემადგენლობაში ცვლილებათა შესახებ.

2. სკკპ XXVII ყრილობის მოთხოვნათა შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების საქმიანობის შესახებ.

დღის წესრიგის პირველ საკითხზე სიტყვით გამოვიდა დეპუტატი გ. ნ. ენუქიძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი.

სესიამ გაანთავისუფლა დეპუტატი ვ. მ. სირაძე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილის მოვალეობისაგან საქართველოს პროფსაბჭოს თავმჯდომარედ არჩევის გამო.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ არჩეულ იქნა დეპუტატი თ. შ. კაბულოვა.

№ 1 ეროვნული ბიბლიოთეკა

სესიამ პენსიაზე გასვლის გამო გაანთავისუფლა დეპუტატი თ. ვ. ლაშქარაშვილი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნის მოვალეობისაგან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნად არჩეულ იქნა დეპუტატი ვ. ა. კვარაცხელია.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრებად არჩეულ იქნენ დეპუტატები: ბ. ი. ვაშაკიძე — ქუთაისის ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის გამომცდელი მძღოლი და თ. ვ. კუნჭულია — საქართველოს კომპარტიის მახარაძის რაიკომის პირველი მდივანი.

სესიაზე მოხსენება დღის წესრიგის მეორე საკითხზე გააკეთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სამანდატო კომისიის თავმჯდომარემ დეპუტატმა შ. ვ. ყარყარაშვილმა.

მოხსენების გამო გამართულ კამათში მონაწილეობდნენ დეპუტატები: ნ. რ. საჯაია — საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარე, ბ. ს. ჯიქია — საქართველოს კომპარტიის ცხაკაიას რაიკომის პირველი მდივანი, ბ. ა. ლაპინი — სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის სოხუმის ექსპერიმენტული პათოლოგიისა და თერაპიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, მ. ა. კალმახელიძე — თბილისის ს. ორჯონიკიძის სახელობის სამკერვალო ფაბრიკის მკერავი, ა. ო. მოვსესიანი — საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრი, ლ. ა. ღურწკაია — საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე და ამხანაგები კ. თ. სალია — საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მინისტრი, ვ. ი. კაჭარავა — საქართველოს სსრ ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე.

ყველა განხილულ საკითხზე სესიამ მიიღო შესაბამისი კანონი და დადგენილებები.

ამით საქართველოს სსრ მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიამ მუშაობა დაამთავრა.

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ზოგიერთი დეპუტატის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1987 წლის 22 იანვრის ბრძანებულებებით „სსრ კავშირში სახალხო დეპუტატთა სტატუსის შესახებ“ სსრ კავშირის კანონის მე-10 მუხლის საფუძველზე დაადგინა ვადამდე შეწყვეტილად ჩაითვალოს ცხაკაიას რაიონის ლენინის № 321 საარჩევნო ოლქისაგან საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის ზურაბ გიორგის ძე ახვლედიანისა და ქ. გორის ძნელაძის № 117 საარჩევნო ოლქისაგან საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის ავთანდილ პეტრეს ძე საყვარელიძის უფლებამოსილება.